



## ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,  
ირაკლი აბაშიძის ბაზრ. 26

N 42  
05/01/2018

საქართველოს პარლამენტის  
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის  
თავმჯდომარეს ქალბატონ ეკა ბესელიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის  
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

### დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, ლევან კობერიძის, დიმიტრი ცქიტიშვილის, ირინე ფრუიძის და სოფიო ქაცარავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3177; 22.06.17).

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2017 წლის 27 დეკემბერს სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, ლევან კობერიძის, დიმიტრი ცქიტიშვილის, ირინე ფრუიძის და სოფიო ქაცარავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, „იარაღის

შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „არასაკაპტიმორო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით ავტორისა და ინიციატორების მიერ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:**

1. ტერმინთა განმარტებებში აისახოს ორი ახალი ტერმინი - „პრევენციის სისტემა“ და „შეფასებისა და გადარწმუნების კომისია“. შესაბამისად, პროექტში აისახოს შეფასებისა და გადარწმუნების კომისიის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ ახალი თავი.
2. კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში განისაზღვროს პრევენციის სისტემის მოდელის შემუშავების, ასევე შეფასებისა და გადარწმუნების კომისიების სამსახურების ჩამოყალიბების და ამისათვის საჭირო ნორმატიული ბაზის მომზადებისთვის საჭირო ვადები.
3. ზემოთ აღნიშნული შენიშვნები და წინადადებები აგრეთვე აისახოს კანონპროექტის განმარტებით ბარათში.
4. კომიტეტი მიზანშეწონილად თვლის კანონპროექტს თანდართულ უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებულ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და მათი შემცველი პრეპარატების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის დახვეწის მიზნით, გაგრძელდეს შემდგომი მუშაობა კანონპროექტების ავტორებისა და ყველა დაინტერესებული უწყების ჩართულობით.

კანონპროექტის ავტორებისა და ინიციატორების მიერ გაზიარებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გასაღებასა და გავრცელებას შორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყოფაში შესაძლოა გამოიწვიოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გავრცელების წახალისება. ამის გათვალისწინებით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა ნორმები, რაც ეხებოდა გავრცელებას.

**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე გამოითქვა შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:**

1) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. 260-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 260<sup>1</sup> მუხლი:

**“მუხლი 260<sup>1</sup>. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პირველ და მეორე სიებში შემავალი ნივთიერების, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების გასაღება**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პირველ და მეორე სიებში შემავალი ნივთიერების მცირე ოდენობით გასაღება -

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ოთხას საათამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პირველ სიაში შემავალი ნივთიერების, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების გასაღება -  
**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ექვს წლამდე,**

3. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) არასრულწლოვანის თანდასრებით ან არასრულწლოვნისთვის გადაცემით;

ვ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე.**

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით**

შენიშვნა:

1. ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.”

2) ამოღებულ იქნეს პირველი მუხლის მე-3 პუნქტი

3) პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**4. “მუხლი 261. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მესამე სიაში შემავალი ნივთიერების, უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მესამე სიაში შემავალი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა -

**ისჯება ჯარიმით ან/და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ოთხას საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.**

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) არასრულწლოვნის თანდასრებით-

**ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ექვსას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.**

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.”

4) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. 261-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 261<sup>1</sup> მუხლი:

**“მუხლი 261<sup>1</sup>. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მესამე სიაში შემავალი ნივთიერების უკანონო გასაღება**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მესამე სიაში შემავალი ნივთიერების უკანონო გასაღება -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე.**

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) არასრულწლოვანის თანდასრებით ან არასრულწლოვნისთვის გადაცემით;

ვ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თორმეტ წლამდე.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.”

5) ამოღებულ იქნეს პირველი მუხლის მე-6 პუნქტი;

6) პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. 262-ე მუხლი ჩამოიღებდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 262. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პირველ და მეორე სიებში შემავალი ნივთიერების, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პირველ და მეორე სიებში შემავალი ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.**

1<sup>1</sup>. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.**

2. ამ მუხლის პირველი ან 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

- ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,
- გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- დ) არაერთგზის

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი, 1<sup>1</sup> ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

- ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით**

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.
2. ამ მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ვრცელდება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობაზე.
3. ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები.“

7). მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. 263-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა**

1. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.**

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, გარდა 273-ე და 273<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილისა -

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

- ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე.**

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით

8) კომიტეტის სხდომაზე გაზიარებული იქნა კანონპროექტის ინიციატორების წინადადება, კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, “სისხლის სამართლის კოდექსის“ 273-ე მუხლის გაუქმების თაობაზე, ანუ იმ რაციონალური ვადის შემდეგ, რაც საჭიროა პრევენციული, სამკურნალო და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის შესაბამისი სერვისების განვითარების და „შეფასებისა და გადარწმუნების კომისიების“ ქვეყნის მასშტაბით ამოქმედების შემდეგ. ამგვარი მიდგომა გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს ნარკომომხმარებელთა რაოდენობასა და

სასჯელადსრულების სისტემაში იმ მსჯავრდებულთა ოდენობას, რომლებიც გასამართლებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე.

9) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან ამოღებულ იქნეს 45<sup>1</sup> მუხლი და ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება გადავიდეს სისხლის სამართლის კოდექსში.

**საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ცხადდებოდა ძალადაკარგულად. კანონპროექტის ინიციატორთა მიერ ზემოაღნიშნულის ნაცვლად, კანონში შემოთავაზებული იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით მოსამართლეს თავად ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, მსჯავრდებულს ჩადენილი ქმედების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, დამატებით ჩამოართვას უფლებები იმ ვადით, როგორც თავად მიიჩნევს თანაზომიერად.**

კომიტეტი მხარს უჭერს საკანონმდებლო ინიციატივის ძირითად პრინციპებს და აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნევს წარმოდგენილ კანონპროექტებს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისთვის.

პატივისცემით,  
აკაკი ზოიძე



თავმჯდომარე